



**სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**



KA080148999484920

№ 2475

05 / ივნისი / 2020 წ.

**ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოსთვის“
სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ
თანხმობის გაცემის თაობაზე**

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 1 ივნისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ SMP200002480 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე დელფინარიუმის მ/ტერიტორიიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე (ე.წ. არდაგანის ტბა) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაციას (არსებული ბუნებრივი ქვაფენილის გამოყენებით) (CPV45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) შესყიდვას, ღირებულებით - 174557 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ქალაქ ბათუმში „მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში“ (KfW დაფინანსებით) მიმდინარეობს სანიაღვრე და საკანალიზაციო სამუშაოები. საკანალიზაციო სამუშაოების შესრულებამ გამოიწვია მიწის ზედა ინფრასტრუქტურის მოშლა, ასევე, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული გზების გარკვეული მონაკვეთების გადაკეტვა, რაც დისკომფორტს უქმნის, როგორც მოქალაქეებს, ასევე ჩამოსულ სტუმრებს. შესაბამისად, აუცილებელი გახდა და იგივე რუსთაველის ქუჩაზე დელფინარიუმის მიმდებარე ტერიტორიიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე (ე.წ. არდაგანის ტბა) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაციის (არსებული ბუნებრივი ქვაფენილის გამოყენებით) სამუშაოების განხორციელება. აღნიშნული სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2020 წლის 6 მარტსა და 5 მაისს გამოცხადდა NAT0005481 და NAT200007212 ელექტრონული ტენდერები, რომლებიც დასრულდა უშედეგოდ. ვინაიდან, ხელახალი ტენდერის ჩატარება დაკავშირებულია ხანგრძლივი ვადების დაცვასთან, ამასთან, ვინაიდან საქართველოს მთავრობის გადანყვებილებით იგეგმება 2020 წლის 15 ივლისიდან ბათუმში გაიხსნას საეთაშორისო ტურისტული სეზონი, ზემოხსენებული ტერიტორია კი წარმოადგენს ქალაქ ბათუმის ცენტრალურ ტურისტულ ლოკაციას და შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მონესრიგება მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივ მნიშვნელობის ღონისძიებაა, აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რათა არ მოხდეს დაგეგმილი ღონისძიების შეფერხება ან/და ჩაშლა. ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით სატენდერო პროცედურების ჩატარება მნიშვნელოვნად გააჭიანურებს რეაბილიტაციის პროცესს და გამოიწვევს სამუშაოების დასრულებას დაგვიანებით, აქტიური ტურისტული სეზონის დასრულების შემდგომ.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, ქალაქ ბათუმში „მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში“ (KfW დაფინანსებით) მიმდინარეობს სანიღვრე და საკანალიზაციო სამუშაოები. საკანალიზაციო სამუშაოების შესრულებამ გამოიწვია მიწის ზედა ინფრასტრუქტურის მოშლა, ასევე, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული გზების გარკვეული მონაკვეთების გადაკეტვა, რაც დისკომფორტს უქმნის, როგორც მოქალაქეებს, ასევე ჩამოსულ სტუმრებს. შესაბამისად, აუცილებელი გახდა და დაიგეგმა რუსთაველის ქუჩაზე დელფინარიუმის მიმდებარე ტერიტორიიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე (ე.წ. არდაგანის ტბა) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაციის (არსებული ბუნებრივი ქვაფენილის გამოყენებით) სამუშაოების განხორციელება. აღნიშნული სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2020 წლის 6 მარტსა და 5 მაისს გამოცხადდა NAT0005481 და NAT200007212 ელექტრონული ტენდერები, რომლებიც დასრულდა უშედეგოდ. ვინაიდან, ხელახალი ტენდერის ჩატარება დაკავშირებულია ხანგრძლივი ვადების დაცვასთან, ამასთან, ვინაიდან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით იგეგმება 2020 წლის 15 ივლისიდან ბათუმში გაიხსნას საეთამორისო ტურისტული სეზონი, ზემოხსენებული ტერიტორია კი წარმოადგენს ქალაქ ბათუმის ცენტრალურ ტურისტულ ლოკაციას და შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივ მნიშვნელობის ღონისძიებაა, აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რათა არ მოხდეს დაგეგმილი ღონისძიების შეფერხება ან/და ჩაშლა. ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით სატენდერო პროცედურების ჩატარება მნიშვნელოვნად გააჭიანურებს რეაბილიტაციის პროცესს და გამოიწვევს სამუშაოების დასრულებას დაგვიანებით, აქტიური ტურისტული სეზონის დასრულების შემდგომ.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების აუცილებლობა და მიზანშეწონილად მიაჩნია ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რათა თავიდან იქნას აცილებული ღონისძიებების არსებითი შეფერხებით ჩატარება, ან/და ჩაშლა.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ SMP200002480 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

